



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

(დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 22 იანვრის #77 დადგენილებით)

თავი I. ზოგადი დებულებები, მიზნები, ამოცანები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში- „მეთოდოლოგია“) ეფუძნება, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს;

1.2. წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავების გზით სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი განსაზღვრავს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმებს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს:

ა) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი (უძრავი და მოძრავი ქონება);

ბ) ადამიანურ რესურსს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალს და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირებს);

გ) შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობას.

1.3. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;

1.4. უნივერსიტეტში ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამაზე (განხორციელების შემთხვევაში) ჩასარიცხ ან/და ჩარიცხულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზნები

2.1. მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტიგენტის ფარგლებში შესაბამის პროგრამებზე/სკოლაზე სტუდენტთა რელევანტური გადანაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის მაღალ დონეზე განსახორციელებლად.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების ამოცანები

3.1 უნივერსიტეტის მზაობა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის;

3.2 საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში შესაძლო რისკების გათვლა.

თავი II. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების წესი

მუხლი 4. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების წესი

- 4.1. მეთოდოლოგია შემუშავებულია უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით;
- 4.2. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრება სკოლის მიერ, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - სკოლის საბჭოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, და მტკიცდება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ;
- 4.3. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროგრამების მიხედვით შეიძლება იყოს განსხვავებული;
- 4.4. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ქვოტიდან გამომდინარე ყოველწლიურად პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეიძლება იყოს განსხვავებული, რომელიც გამომდინარეობს ქვოტის ფარგლებში დარჩენილი რაოდენობიდან, პროგრამის სპეციფიკიდან, ადამიანური/მატერიალური რესურსიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- 4.5. ყოველწლიურად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, მათ შორის მობილობის წესით მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც განხილვის შემდგომ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი III. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები

მუხლი 5. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მიზნით გასათვალისწინებელი ასპექტები

5.1 უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი

ა) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი - ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე; დამხმარე ფართი (ფოიე, სარეკრეაციო სივრცე და სხვ.), თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები; კომპიუტერული კლასები; აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე; საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მერხი, მაგიდა, სკამი, წიგნები, პროექტორები, სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო მასალა და სხვ;

ბ) პრაქტიკის განხორციელების ობიექტი - პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით აღჭურვილი დაწესებულება რომელთანაც უნივერსიტეტის გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება.

5.2. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე შესაბამემა უნივერსიტეტის სტრუქტურას;

5.3. დამხმარე ფართი მოიცავს ფოიეს, სარეკრეაციო სივრცეს და სხვ., რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთათვის საჭირო დამატებით სივრცეს.

5.4. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, რომელთა რაოდენობა დგინდება დატვირთვის სქემიდან გამომდინარე სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ითვლისწინებს სასწავლო აუდიტორიაში სალექციო/სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასაშვებ/რეკომენდირებულ სტუდენტთა რაოდენობას;

5.5. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კვოტის შესაბამისი კომპიუტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები, ასევე შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, რომელთა რაოდენობა დგინდება დატვირთვის სქემიდან გამომდინარე სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კომპიუტერული კლასები ასევე განკუთვნილია სტუდენტთა და პროფესორთა თავისუფალი სარგებლობისთვის;

5.6. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე სტუდენტთა კონსულტაციებისა და აფილირებული პროფესორებისთვის ასევე სამეცნიერო მუშაობისთვის განკუთვნილი კაბინეტები;

5.7. ბიბლიოთეკა - აღჭურვილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე შესაბამისი წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით და საჭირო ინვენტარით. ბიბლიოთეკა უნდა უზრუნველყოფდეს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობას. საბიბლიოთეკო სივრცე (სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო სივრცე) და რესურსი ადექვატური უნდა იყოს სტუდენტთა საერთო კვოტის.

მუხლი 6. ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსი -ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, დამხმარე პერსონალი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირები.

6.1ადმინისტრაციული რესურსი

6.1.1 უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას.

6.1.2 უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გამომდინარეობს მისი საქმიანობის სპეციფიკიდან და განსაზღვრული სტუდენტთა ქვოტის ფარგლებში ადმინისტრირებას ახდებს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალით და მოწვეული (ხელშეკრულებით) სპეციალისტებით;

6.1.3 საშტატო ნუსხა ითვალისწინებს ადმინისტრაციული რესურსის გარკვეული სეგმენტის ზრდას უნივერსიტეტის მიზნების, ამოცანების, სტატეგიული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების, სტუდენტთა ქვოტის გაზრდის ასპექტებს;

6.1.4 მოწვეული სპეციალისტი არის კონკრეტული საქმის შესასრულებლად გარკვეული პერიოდით აყვანილი თანამშრომელი.

6.1.5 სტუდენტთა კონტიგენტის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ რესურსი

6.2 აკადემიური პერსონალი

6.2.1 აკადემიური თანამდებობის პირი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

6.2.2 აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამოითვლება სკოლის ფარგლებში საერთო მაქსიმალური ქვოტის გათვალისწინებით პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც გათვალისწინებული იქნება მიმართულების/დარგის სპეციფიკა, დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები;

6.3 მოწვეული სპეციალისტები

6.3.1 მოწვეული სპეციალისტი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

6.3.2 მოწვეული სპეციალისტის რაოდენობა განისაზღვრება სკოლის ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისათვის განსაზღვრული მოსალოდნელი მისაღები სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებიდან გამომდინარე;

მუხლი 7. შრომითი ურთიერთობები

7.1 უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 8. შრომის ბაზრის მოთხოვნა და საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა

8.1. საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და აქტუალური საგანმანათლებლო პროგრამა/სპეციალობა დგინდება სფეროში დასაქმებული და გასული პერიოდის ვაკანსიების ანალიზის საფუძველზე.

მუხლი 9. სამიზნე ნიშნულები

9.1. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ სამიზნე ნიშნულებთან:

- ა. სასწავლო ფართის ოდენობა
- ბ. მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება
- გ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- დ. ადმინისტრაციის რაოდენობა
- ე. კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა

9.2. სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის ფორმულა (ჯამური ოდენობა):

- ა. სასწავლო ფართი (კვ.მ)/ 2-ზე (კვ.მ);
- ბ. პროფესორების რაოდენობა x 70-ზე (სტუდენტთა რაოდენობა)
- გ. მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება-სასწავლო მაგიდა/სკამების ჯამური რაოდენობა
- დ. ადმინისტრაციის რაოდენობა x 40-ზე (სტუდენტთა რაოდენობა)
- ე. კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა x 30 სტუდენტზე

შენიშვნა:

ა) არსებული მონაცემებიდან აიღება უმცირესი რიცხვი.

ბ) სტუდენტთა კონტინგენტი ორმაგდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის თავისებურების გათვალისწინებით-2

ცვლაზე.

ვ) პროგრამის და სტუდენტების (მისაღები და არსებული) მიხედვით აკადემიური პერსონალის მინიმალური ოდენობა არის :

- ა) პროფესორი -2 ერთეული
- ბ) ასოცირებული პროფესორი-2 ერთეული
- გ) ასისტენტ- პროფესორი-1 ერთეული
- დ) ასისტენტი-1 ერთეული

შენიშვნა:

ა) ერთი და იგივე პროფესორი ეთვლება მიმართულების/დარგის გათვალისწინებით სხვადასხვა პროგრამას

ბ) ერთი აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 70 სტუდენტზე

ზ) პროგრამის მიხედვით მოწვეული პერსონალის მინიმალური ოდენობა არის (საჭიროების შემთხვევაში):

- ა) პროგრამაზე (საბაკალავრო და/ან ერთსაფეხურიანი) 4 მოწვეული პერსონალი
- ბ) პროგრამაზე (მაგისტრატურა ან/და დოქტორანტურა) 2 მოწვეული პერსონალი

შენიშვნა:

- ა) ერთი და იგივე პერსონალი ეთვლება მიმართულების/დარგის გათვალისწინებით სხვადასხვა პროგრამას
- ბ) ერთი მოწვეული პერსონალი არაუმეტეს 75 სტუდენტზე

9.3. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესრულების მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა. დოკუმენტაცია ფლობის შესახებ;
- ბ. ვიზუალური დათვალიერება;
- გ. ინტერვიუება (სტუდენტი; ადმინისტრაცია; პროგრამის ხელმძღვანელი) (დანართი N1; დანართი N2; დანართი N3;)

თავი V. დასკვნითი დებულებანი

11. დასკვნითი დებულებანი

- 11.1 წინამდებარე მეთოდოლოგია ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
- 11.2 წინამდებარე მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

მადლობას მოგახსენებთ კითხვარის შევსებისთვის
გთხოვთ აღნიშნოთ მხოლოდ 1 სავარაუდო პასუხი

სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვა- სტუდენტების ანკეტირება

1. თვლით თუ არა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის სასწავლო აუდიტორიებში სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობაა?

კი	ნაწილობრივ	არა

2. სალექციო ჯგუფში რა

რაოდენობის სტუდენტების ოდენობაა ადეკვატური?

50-ზე ნაკლები	50-70 სტუდენტი	70 ზე მეტი

3. უნივესიტეტის სასწავლო ფართი იძლევა სწავლების შეუფერხებლად

განხორციელებს საშუალებას?

კი	ნაწილობრივ	არა

4. აუდიტორიებში სტუდენტთა

განთავსება უზრუნველყოფს სწავლებისათვის სათანადო გარემოს?

კი	ნაწილობრივ	არა

5. აკადემიური/მოწვეული

პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია?

კი	ნაწილობრივ	არა

6. გთხოვთ დამატებითი შენიშვნები მოგვაწოდოთ და

რეკომენდაციები

- გამოკითხვის მიზანია:
- სტუდენტთა კონტინენტის ოპტიმალური დაგეგმვა;
- თქვენი მოლოდინების განსაზღვრა
- დაწესებულების მხრიდან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- სწავლებისათვის ეფექტური პირობების შექმნა

გმადლობთ ინფორმაციისთვის

მადლობას მოგახსენებთ კითხვარის შევსებისთვის
გთხოვთ აღნიშნოთ მხოლოდ 1 სავარაუდო პასუხი

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა- ადმინისტრაციის ანკეტირება

7. თვლით თუ არა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის სასწავლო აუდიტორიებში სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობაა?

კი	ნაწილობრივ	არა

8. სალექციო ჯგუფში რა

რაოდენობის სტუდენტების ოდენობაა ადეკვატური?

50-ზე ნაკლები	50-70 სტუდენტი	70 ზე მეტი

9. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი იძლევა სწავლების შეუფერხებლად

განხორციელების საშუალებას?

კი	ნაწილობრივ	არა

10. აუდიტორიებში სტუდენტთა

განთავსება უზრუნველყოფს სწავლებისათვის სათანადო გარემოს?

კი	ნაწილობრივ	არა

11. აკადემიური/მოწვეული

პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია?

კი	ნაწილობრივ	არა

12. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

- გამოკითხვის მიზანია:
- სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური დაგეგმვა;
- თქვენი მოლოდინების განსაზღვრა
- დაწესებულების მხრიდან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- სწავლებისათვის ეფექტური პირობების შექმნა
- **გმადლობთ ინფორმაციისთვის**

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა- პროგრამის ხელმძღვანელის ანკეტირება

13. თვლით თუ არა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის სასწავლო აუდიტორიებში სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობაა?

კი	ნაწილობრივ	არა

14. სალექციო ჯგუფში რა რაოდენობის

სტუდენტების ოდენობაა ადეკვატური?

50-ზე ნაკლები	50-70 სტუდენტი	70 ზე მეტი

15. უნივესიტეტის სასწავლო ფართი

იძლევა სწავლების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას?

კი	ნაწილობრივ	არა

16. აუდიტორიებში სტუდენტთა

განთავსება უზრუნველყოფს სწავლებისათვის სათანადო გარემოს?

კი	ნაწილობრივ	არა

17. აკადემიური/მოწვეული პერსონალის

რაოდენობა ადეკვატურია?

კი	ნაწილობრივ	არა

18. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა პროგრამების ადეკვატურია?

კი	ნაწილობრივ	არა

19. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

- გამოკითხვის მიზანია:
- სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური დაგეგმვა;
- თქვენი მოლოდინების განსაზღვრა
- დაწესებულების მხრიდან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- სწავლებისათვის ეფექტური პირობების შექმნა

გმადლობთ ინფორმაციისთვის